

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 01 09

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

156567 (ასორმოცდათექვსმეტიათას ხუთასსამოცდაშვიდი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყარო

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი – 156567 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. 2016 წლის ჩათვლით პროგრამას მართავდა აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2017 წლიდან პროგრამა განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. პროგრამით გათვალისწინებულია 31 სამედიცინო პუნქტის ფუნქციონირება 47 მედდის მონაწილეობით. მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მოსახლეობის მომსახურების მიზნით გათვალისწინებულია სამედიცინო პუნქტებისათვის პირველადი დახმარების მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობების მიწოდება.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობა.	სოფლის მოსახლეობის დროული სამედიცინო დახმარება მონაცემთა წყარო შეგროვდება ყოველთვიურად, სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების სახით.
2	სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო მომსახურებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.	

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1..	მომსახურების შესყიდვის განხორციელება	X											
2.	მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება	X											
2.	მედიკამენტებისა, წნევის აპარატების და სადიაგნოსტიკო საშუალებების შესყიდვა	X	X	X									
3..	სამედიცინო მომსახურება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

11. პროგრამის ბიუჯეტი

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი	156567			
	დამატებითი					
	სულ					156567

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	მომსახურების სახე	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	თვე	თანხა (ლარი)
1	მომსახურების გაწევა	47	250	12	141000
2	წნევის საზომი აპარატები	31	30	1	930
3	მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისათვის	31	36,63	12	13626.36
4	სადიაგნოსტიკო საშუალებები (გლუკომეტრის ტესტ-ჩხირები) სამედიცინო პუნქტებისათვის	31	32,6	1	1010.60
სულ ხარჯი:					156566.96

12. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ვადების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	47 მედლის მომსახურების შესყიდვა	2017 წლის დეკემბერი	გამარტივებული შესყიდვა	141000	
	მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობების შესყიდვა	2018 წლის-I კვარტალი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	15567	
	სულ:			156567	

დამატებითი ინფორმაცია:

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სამედიცინო პუნქტების მედლებთან ხელშეკრულების გაფორმებას, მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობების შეძენას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია.

დაფინანსება განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.